

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2020 წელი

2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 347.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.8%-ით ნაკლებია.

- ექსპორტი შემცირდა 12%-ით და 3 342.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- იმპორტი შემცირდა 15.9%-ით და 8 005.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2020 წელს 18%-ით შემცირდა თანხაში (1 056-მლნ აშშ დოლარით) და 4 663.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2016-2020 (მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 459	10 802	12 741	13 315	11 347.7
ზრდა %	-1%	14%	18%	5%	-14.80%
ექსპორტი	2,117	2,746	3,380	3,798	3 342.1
ზრდა %	-4%	30%	23%	12%	-12%
იმპორტი	7,342	8,057	9,362	9,517	8,005.6
ზრდა %	1%	10%	16%	2%	0.2
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5,225	-5,311	-5,982	-5,719	-4,663.4
ზრდა %	2%	2%	13%	-4%	-0.2
ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე	1,620	2,008	2,226	2,324.50	2,406.9
ზრდა %	1%	24%	11%	4%	4%


საქართველოს ექსპორტის კლება ძირითადად რე-ექსპორტის ხარჯზე განხორციელდა, რომელიც 37%-ით (538 მლნ. აშშ დოლარი) შემცირდა და 935 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტი კი 4% და 82.0 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 2 406.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

რე-ექსპორტის შემცირება ძირითადად გამოწვეულია შემდეგი 5 კოზიციის შემცირების ხარჯზე:

- სამკურნალო საშუალებები - რე-ექსპორტი \$ 80.4 მლნ, კლება 49% და 77.6 მლნ. აშშ დოლარი;
- მსუბუქი ავტომობილები - რე-ექსპორტი \$ 404.0 მლნ, კლება 45% და 329 მლნ. აშშ დოლარი;
- თამბაქოს ნაწარმი - რე-ექსპორტი 28.8 მლნ. აშშ დოლარი, კლება 44% და 22.6 მლნ. აშშ დოლარი;
- საბურავები - რე-ექსპორტი 19.0 მლნ. აშშ დოლარი, კლება 51% და 19.6 მლნ. აშშ დოლარი;
- სატვირთო ავტომობილები - რე-ექსპორტი 16.7 მლნ. აშშ დოლარი, კლება 62% და 26.8 მლნ. აშშ დოლარი.

2020 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.4% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 597.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 328.2 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 185.0 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი 2020 წლის ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2020 წლის საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა

საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 18%-ით შემცირდა 2 638 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს ბრუნვის 23% დაიკავა.

- ექსპორტი შემცირდა 12%-ით და 717 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ექსპორტის 21% დაიკავა.
- იმპორტი შემცირდა 20%-ით და 1 921 მლნ. აშშ დოლარი და იმპორტის 24% შეადგინა,

ევროკავშირში ექსპორტი

ევროკავშირში **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** ექსპორტი 26%-ით (33.3 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 162.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 20%-ით (135.6 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 554.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გაიზარდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე

თხილი - ექსპორტი 71.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 62% და 27.3 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 37% (ზრდა 134%), იტალია 28% (ზრდა 41%), ჩეხეთი 8% (ზრდა 31%), ესპანეთი 6% (ზრდა 39%), ლიეტუვა 5% (კლება 4%), პოლონეთი 4% (ზრდა 20%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 6.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42% და 1.9 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 65% (ზრდა 57%), ჩეხეთი 7% (ზრდა 3%), ლიეტუვა 6% (ზრდა 4-ჯერ), საფრანგეთი 5% (ზრდა 24%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 16.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8% და 1.2 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 94% (ზრდა 5%), გერმანია 2% (0.4 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი უმნიშვნელო რაოდენობით განხორციელდა).

ღვინო - ექსპორტი 25.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 4.1 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 45% (ზრდა 25%), ლატვია 16% (ზრდა 7%), გერმანია 10% (ზრდა 20%), ესტონეთი 8% (ზრდა 15%).

ხილ-ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 3.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28% და 0.8 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 78% (ზრდა 78%), საბერძნეთი 6% (კლება 54%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 24.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16% და 3.4 მლნ. აშშ დოლარი) საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 64% (ზრდა 45%), ნიდერლანდები 10% (კლება 41%), გაერთიანებული სამეფო 9% (ზრდა 27%), ლატვია 6% (ზრდა 12%).

თევზის ფქვილი - 1.1 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი სრულად განხორციელდა საბერძნეთში. ამ პოზიციის ექსპორტი შარშან არ განხორციელებულა.

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე

პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 2.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 46% (კლება 52%), საფრანგეთი 29% (ზრდა 292%), ავსტრია 10% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

ხილის ჯემები - ექსპორტი 0.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 87% და 2.8 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტის თითქმის სრული მოცულობა განხორციელდა საფრანგეთში. ექსპორტი შემცირდა გერმანიაში - 83%.

სამრეწველო პროდუქცია შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციების ხარჯზე

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 333.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 28% და 128.8 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 81% (ზრდა 2%), რუმინეთი 2% (კლება 95%), ესპანეთი 17% (ზრდა 75%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 2.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 49% და 2.0 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: საბერძნეთი 76% (ზრდა 1.5 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), იტალია 14% (კლება 73%); ამასთან გაერთიანებული სამეფო მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა (კლება 2.8 მლნ. აშშ დოლარი).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 12% და 0.3 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ლატვია 63% (კლება 19%), ავსტრია 17% (ზრდა 0.3 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), ირლანდია 7% (ზრდა 0.14 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 24.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 34% და 12.6 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 45% (ზრდა 15%), ლიეტუვა 18% (კლება 61%), ბულგარეთი 15% (კლება 22%), იტალია 13% (ზრდა 4%), საბერძნეთი 4% (კლება 12%), ესპანეთი 4% (კლება 57%), გაერთიანებული სამეფო (კლება 4.7 მლნ. აშშ დოლარი, ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა).

რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი - ექსპორტი 13.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 47% და 12.1 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გაერთიანებული სამეფო 31% (კლება 23%), ნიდერლანდები 22% (კლება 65%), პოლონეთი 13% (ზრდა 127%), ირლანდია 11% (ზრდა 105%), ესპანეთი 7% (ზრდა 15%)

ქალის პალტოები, ლაბადები - ექსპორტი 1.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 70% და 4.2 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 49% (კლება 29%), იტალია 39% (კლება 85%), პოლონეთი 10% (ზრდა 0.2 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

შავი ლითონის მიღები - ექსპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 59% და 2.0 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: გერმანია 73% (კლება 46%), იტალია 20% (კლება 75%).

სპილენძის ჯართი - ექსპორტი 2.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 71% და 5.5 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები 29% (კლება 49%), ბულგარეთი 18% (კლება 90%), ლიეტუვა 12% (კლება 82%).

ძრავები ტურბორეაქტიული, ტურბინები აირის - ექსპორტი შემცირდა 5.0 მლნ. აშშ დოლარით (გერმანია), ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა.

მინის ბოცები, ბოთლები - ექსპორტი 2.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 49% და 1.9 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტი 98% განხორციელდა საფრანგეთში.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ სამრეწველო პროდუქციაზე

მანგანუმის ოქსიდები - ექსპორტი 7.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17% და 1.0 მლნ აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 19% (ზრდა 49%), ნიდერლანდები 19% (კლება 20%), ესპანეთი 16% (ზრდა 43%).

მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონებისა - ექსპორტი 46 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6-ჯერ და 38.6 მლნ. აშშ დოლარით). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 67% (ზრდა 3-ჯერ), ესპანეთი 33% (ზრდა 15 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ხის ნაწარმი (ცხოველების სახლები) - ექსპორტი 14.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 30% და 3.2 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 40% (ზრდა 91%), გერმანია 26% (ზრდა 7%), ბელგია 13% (კლება 12%).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 11.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6% და 0.6 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ესპანეთი 32% (ზრდა 11%), გაერთიანებული სამეფო 28% (კლება 8%), საფრანგეთი 23% (ზრდა 19%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 21.0 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 70% და 8.6 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ბელგია 68% (ზრდა 124%), სლოვენია 18% (ზრდა 108%), გერმანია 6% (ზრდა 3-ჯერ).

ოქრო - ექსპორტი 2.7 მლნ. აშშ დოლარი (წინა წელს მისი ექსპორტი არ განხორციელებულა). მისი ექსპორტის სრული მოცულობა გავიდა გერმანიაში.

იმპორტი

ევროკავშირში **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 10%-ით (27.8 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 263 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო** პროდუქციის იმპორტი 22 % (459.1 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 1 658 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტის შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე

ფრინველის ხორცი - იმპორტი 18.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 7% და 1.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 33% (კლება 10%), ნიდერლანდები 20% (კლება 14%), საფრანგეთი 15% (კლება 1%), ლიეტუვა 9% (ზრდა 1.3 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

თევზი გაყინული - იმპორტი 5.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 21% და 1.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: ესპანეთი 38% (კლება 32%), ნიდერლანდები 16% (კლება 31%), დანია 13% (ზრდა 65%), პოლონეთი 6% (ზრდა 189%).

შაქარი - იმპორტი 11.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 54% და 13.1 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 63% (კლება 53%), საფრანგეთი 27% (კლება 44%), ნიდერლანდები 6% (კლება 51%), გერმანია 4% (ზრდა 0.4 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 7.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 24% და 2.5 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: ბელგია 34% (კლება 27%), გერმანია 20% (კლება 8%), იტალია 18% (კლება 33%), ნიდერლანდები 12% (კლება 19%).

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი - იმპორტი 7.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 11% და 0.9 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 28% (კლება 6%), ბულგარეთი 25% (კლება 9%), იტალია 14% (კლება 11%), გერმანია 10% (კლება 25%).

სპირტიანი სასმელები - იმპორტი 20.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 21% და 5.5 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 33% (კლება 27%), გაერთიანებული სამეფო 26% (ზრდა 2%), ლატვია 11% (კლება 51%), ნიდერლანდები 8% (კლება 22%), იტალია 7% (კლება 31%).

ძებვეული - იმპორტი 3.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 26% და 1.1 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 56% (კლება 27%), ესპანეთი 15% (ზრდა 4%), გერმანია 10% (კლება 50%).

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 102.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 52% და 113.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 56% (კლება 48%), გაერთიანებული სამეფო 15% (კლება 47%), ბელგია 6% (კლება 77%), ავსტრია 4% (ზრდა 19%).

სატელეფონო აპარატები - იმპორტი 32.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 17% და 6.8 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 54% (კლება 12%), ნიდერლანდები 20% (კლება 14%), კვიპროსი 7% (ზრდა 2.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს იმპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

საბურღი მანქანები - იმპორტი 8.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 69% და 18.6 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 95% (კლება 65%), იტალია 4% (კლება 82%).

ავეჯი და მისი ნაწილები - იმპორტი 13.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 37% და 7.8 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: იტალია 34% (კლება 11%), სლოვენია 12% (კლება 28%), გერმანია 9% (კლება 32%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 175.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40% და 116.0 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 53% (კლება 49%), ბულგარეთი 27% (კლება 15%), საბერძნეთი 12% (კლება 48%).

იმპორტის გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე

ნაღების კარაქი - იმპორტი 13.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20% და 2.3 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 39% (ზრდა 12%), ბელგია 18% (ზრდა 94%), ფინეთი 17% (კლება 5%), ირლანდია 10% (ზრდა 55%).

სოიოს კოპტონი - იმპორტი 7.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7-ჯერ და 6.9 მლნ. აშშ დოლარით), იმპორტი სრული მოცულობით განხორციელდა რუმინეთიდან.

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 201.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4% და 7.8 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 21% (ზრდა 23%), უნგრეთი 16% (ზრდა 2%), საფრანგეთი 12% (კლება 9%), ბულგარეთი 9% (ზრდა 23%).

ნარეგები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში - იმპორტი 25.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17% და 3.7 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 78% (ზრდა 25%), ირლანდია 13% (კლება 1%).

საქართველო-დსთ-ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობა

საქართველო-დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13%-ით შემცირდა, 3 901 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 34% დაიკავა.

- **ექსპორტი** 26%-ით შემცირდა, 1 509 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 45% შეადგინა.
- **იმპორტი** შემცირდა 2%-ით, 2 392 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 30% შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2% გაიზარდა (10.8 მლნ. აშშ დოლარით) და 628 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი** 38%-ით (545.2 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 881 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაიზარდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გაყინული - ექსპორტი 12.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4-ჯერ და 9.3 მლნ. აშშ დოლარი), ძირითადი საექსპორტი ბაზრებია: აზერბაიჯანი 87% (ზრდა 5-ჯერ), თურქმენეთი 9% (ზრდა 2-ჯერ).

ციტრუსი - ექსპორტი 26.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27% და 5.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 59% (ზრდა 15%), სომხეთი 30% (ზრდა 61%).

ახალი ხილი - ექსპორტი 24.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 87% და 11.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 83% (ზრდა 70%), სომხეთი 16% (ზრდა 4-ჯერ).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 89.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 0.1% და 0.1 მლნ. აშშ დოლარი) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 42% (ზრდა 17%), რუსეთი 35% (კლება 9%), ბელარუსი 11% (ზრდა 14%), ყაზახეთი 4% (ზრდა 2-ჯერ).

ღვინო - ექსპორტი 162 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8% და 13.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 74% (კლება 10%), უკრაინა 15% (ზრდა 3%), ყაზახეთი 4% (კლება 15%), ბელარუსი 6% (ზრდა 30%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 95.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 17% და 19.4 მლნ. აშშ დოლარი), ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 46% (კლება 27%), უკრაინა 22% (კლება 11%), ყაზახეთი 17% (ზრდა 14%), ბელარუსი 8% (კლება 26%).

თამბაქოს მზა ნაწარმი - ექსპორტი 26.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 33% და 13.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 73% (კლება 42%), რუსეთი 13% (ზრდა 3-ჯერ), ტაჯიკეთი 7% (ზრდა 2-ჯერ).

სამრეწველო პროდუქცია შემცირდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 346.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 47% და 313 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 65% (კლება 13%), უკრაინა 23% (ზრდა 1%), რუსეთი 3% (ზრდა 32%), ყირგიზეთი 2% (კლება 85%).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 120 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2% და 3.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 90% (კლება 5%), აზერბაიჯანი 5% (ზრდა 12%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 93.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44% და 72.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 44% (კლება 30%), აზერბაიჯანი 19% (კლება 36%), რუსეთი 12% (კლება 46%), ყირგიზეთი 4% (კლება 73%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 28.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 45% და 23.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 60% (კლება 52%), აზერბაიჯანი 17% (ზრდა 3%), სომხეთი 17% (ზრდა 15%),

ციანიდები და ოქსიდციანიდები - ექსპორტი 10.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 6% და 0.7 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი 48% (კლება 28%), აზერბაიჯანი 45% (ზრდა 22%).

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ სამრეწველო პროდუქციაზე

მუყაოს ტარა - ექსპორტი 7.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2% და 0.2 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა აზერბაიჯანში.

რკინიგზის ლოკომოტივები - ექსპორტი 3.6 მლნ. აშშ დოლარი (2019 წელს ექსპორტი განხორციელდა მხოლოდ 74 ათასი აშშ დოლარის) ექსპორტი სრული მოცულობით გადის უზბეკეთში.

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 2%-ით, 12.3 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა და 629 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 2%-ით, 36.5 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა და 1 763 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი შემცირდა შემდეგი პოზიციების კლების ხარჯზე:

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 32.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 19% და 7.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 65% (კლება 23%), უკრაინა 29% (კლება 10%), სომხეთი 3% (კლება 29%).

შაქარი - იმპორტი 14.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 29% და 6.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 63% (ზრდა 42%), ბელარუსი 19% (ზრდა 5-ჯერ), უკრაინა 11% (კლება 64%), აზერბაიჯანი 7% (კლება 87%).

თამბაქოს შხა ნაწარმი - იმპორტი 82.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 9% და 8.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 89% (კლება 8%), სომხეთი 7% (ზრდა 233%), უზბეკეთი 2 (კლება 63%), რუსეთი 1% (კლება 64%).

ნავთობის აირები - იმპორტი 294.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 10% და 33.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 82% (კლება 15%), რუსეთი 16% (ზრდა 13%), სომხეთი 1% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), ყაზახეთი 1% (წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 291.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 27% და 105.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 44% (კლება 36%), თურქმენეთი 23% (კლება 33%), აზერბაიჯანი 23% (კლება 26%), ყაზახეთი 7% (იმპორტი წინა წელს არ განხორციელებულა მცირე რაოდენობით).

ცემენტი - იმპორტი 18,4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23% და 5.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან.

არმატურა - იმპორტი 47.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5% და 2.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 64% (კლება 6%), აზერბაიჯანი 27% (კლება 24%), რუსეთი 9% (ზრდა 374%).

ელექტროენერგია - იმპორტი 51.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 35% და 27.4 მლნ. აშშ დოლარი. იმპორტი განხორციელდა: აზერბაიჯანიდან 71% (კლება 34%), რუსეთი 29% (კლება 36%).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე

მცენარეული ზეთი - იმპორტი 45.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20% და 7.5 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 90% (ზრდა 21%), აზერბაიჯანი 6% (ზრდა 33%), უკრაინა 4% (კლება 2%).

სიმიინდი - იმპორტი 21.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 30% და 5.0 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 96.5% (ზრდა 39%), უკრაინა 3.5% (ზრდა 22%).

მაკარონი - იმპორტი 11.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18% და 1.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 76% (ზრდა 11%), ყაზახეთი 9% (ზრდა 1.3%).

ხორბალი - იმპორტი 107.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% და 3.5 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტი სრულად განხორციელდა რუსეთიდან. ყაზახეთიდან (2020 წელს იმპორტი არ 2019 წელი -13.2 მლნ აშშ დოლარი).


სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტი 333.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52% და 114.5 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 96.4% (ზრდა 49%), აზერბაიჯანი 3.6% (ზრდა 220%).

მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონების - იმპორტი 48.2 მლნ. აშშ დოლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ პოზიციის იმპორტი განხორციელდა 2.8 მლნ აშშ დოლარის). იმპორტი სრულიმოდულობით განხორციელდა სომხეთიდან.

საქართველოს ექსპორტი


2020 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 75.9% შეადგინა. ძირითადი სამი ქვეყანაა: ჩინეთი (476.3 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (441.3 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (441.1 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2020 წლის ექსპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2020 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 729.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 21.8%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 404.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 12.1%), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 247.3 მლნ. აშშ დოლარით (7.4%).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2020 წელს



2020 წელს საქართველოს ექსპორტში, **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის ექსპორტი 6% (53.3 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა და 942.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო** პროდუქციის ექსპორტი 18%-ით (509.6 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 2 400 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

ცოცხალი ცხვარი - ექსპორტი 20.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 50% და 6.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საუდის არაბეთი 63% (ზრდა 152%), აზერბაიჯანი 28% (ზრდა 22%).

თხილი - ექსპორტი 94.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 41% და 27.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 28% (ზრდა 134%), იტალია 22% (ზრდა 41%), ჩეხეთი 6% (ზრდა 31%), ესპანეთი 4% (ზრდა 39%), ლიეტუვა 4% (კლება 4%), პოლონეთი 3% (ზრდა 20%), რუსეთი 4% (კლება 14%), სომხეთი 5% (ზრდა 6-ჯერ).

ახალი კურკოვანი ხილი - ექსპორტი 24.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 87% და 11.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 83% (ზრდა 70%), სომხეთი 16% (ზრდა 4-ჯერ).

ალკოჰოლო გაზიანი სასმელები - ექსპორტი 31.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 15% და 4.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 45% (ზრდა 28%), აზერბაიჯანი 19% (კლება 4%), სომხეთი 10% (კლება 20%), უკრაინა 6% (ზრდა 108%), ყაზახეთი 5% (კლება 7%).

გაყინული ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის - ექსპორტი 12.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ და 9.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 87% (ზრდა 4-ჯერ), თურქმენეთი 9% (ზრდა 107%).

ციტრუსი - ექსპორტი 27 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26% და 5.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი 29% (ზრდა 61%), რუსეთი 58% (ზრდა 15%), აზერბაიჯანი 2% (ზრდა 2-ჯერ).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 12.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18% და 1.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 19% (კლება 6%), გერმანია 35% (ზრდა 57%), ყაზახეთი 7% (კლება 48%), ბელარუსი 7% (ზრდა 177%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 132.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4% და 4.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 28% (ზრდა 17%), რუსეთი 24% (კლება 9%), საფრანგეთი 12% (ზრდა 45%), სინგაპური 10% (ზრდა 112%), ბელარუსი 7% (ზრდა 14%).

სანელებლები - ექსპორტი 11 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% და 0.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 38% (ზრდა 5%), ჩინეთი 32% (ზრდა 1%), უკრაინა 14% (ზრდა 2%).

კენკრა - ექსპორტი 13.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 84% და 6.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 62% (ზრდა 3-ჯერ), სომხეთი 24% (კლება 6%).

თევზის ცხიმი - ექსპორტი 17.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ და 12 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: თურქეთი 55% (ზრდა 115%), პერუ 36% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), კანადა 9% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ხორცის და თევზის ფქვილი - ექსპორტი 20.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 109% და 10.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: თურქეთი 44% (ზრდა 73%), ვიეტნამი 14% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), სომხეთი 14% (ზრდა 34%), ტაივანი 14% (ზრდა 25%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 27.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 24% და 5.4 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრებია: ერაყი 50% (ზრდა 13%), აზერბაიჯანი 50% (ზრდა 37%).

ხილისა და ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 10.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 44% და 3.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აშშ 18% (ზრდა 4%), ავსტრალია 9% (ზრდა 44%), გერმანია 28% (ზრდა 53%), რუსეთი 15% (ზრდა 3-ჯერ).

სასოფლო სამეურნეო პროდუქცია შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

მინერალური წყალი - ექსპორტი 116.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13% და 16.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 38% (კლება 27%), უკრაინა 18% (კლება 11%), ყაზახეთი 14% (ზრდა 14%), ლიეტუვა 14% (ზრდა 5%).

ღვინო - ექსპორტი 210.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 6% და 12.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 57% (კლება 10%), უკრაინა 11% (ზრდა 3%), ჩინეთი 6% (კლება 30%), პოლონეთი 5% (ზრდა 25%), ყაზახეთი 3% (კლება 19%), ბელარუსი 4% (ზრდა 30%).

ხილის ჯემები - ექსპორტი 1.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 56% და 2.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: თურქეთი 35% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), გერმანია 19% (კლება 83%), რუსეთი 24% (კლება 13%).

სიგარეტები - ექსპორტი 28.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 46% და 24.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 66% (კლება 42%), ტაჯიკეთი 6% (126%), ირანი 2% (კლება 63%).

სამრეწველო პროდუქტის ექსპორტი შემცირდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 99.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 45% და 328.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 41% (კლება 30%), აზერბაიჯანი 18% (კლება 36%), რუსეთი 11% (კლება 46%), სომხეთი 10% (ზრდა 33%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 404.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 37% და 181.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 56% (ზრდა 13%), უკრაინა 20% (ზრდა 1%), ა.გ. საამიროები 6% (კლება 47%), რუსეთი 3% (ზრდა 58%).

ფეროშენადნობები - ექსპორტი 247.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 18% და 56 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 44% (კლება 5%), აშშ 25% (კლება 46%), თურქეთი 13% (ზრდა 77%), ირანი 3% (კლება 46%), აზერბაიჯანი 2% (ზრდა 12%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 72.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 24% და 22.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 24% (კლება 51%), რუმინეთი 15% (ზრდა 15%), პერუ 8% (ზრდა 1%), სომხეთი 7% (ზრდა 15%), აზერბაიჯანი 7% (ზრდა 3%), სინგაპური 6% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

რეზინის პნევმატური სალტები და საბურავები - ექსპორტი 19 მლნ. აშშ დოლარი (კლება 51% და 19.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გაერთიანებულ სამეფო 22% (კლება 23%), ნიდერლანდები 16% (კლება 65%), პოლონეთი 10% (ზრდა 127%), ჰონ-კონგი 5% (ზრდა 42%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 10.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 39% და 6.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 29% (კლება 3%), საბერძნეთი 15% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), სომხეთი 15% (კლება 58%), შვეიცარია 21% (კლება 39%).

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ სამრეწველო პროდუქტიაზე

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 729.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 80 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ჩინეთი 54% (ზრდა 129%), ბულგარეთი 37% (ზრდა 2%), ესპანეთი 8% (ზრდა 75%), რუმინეთი 2% (კლება 94%).

ოქრო დაუმუშავებელი - ექსპორტი 97.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 34% და 24.7 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრებია: შვეიცარია 95% (ზრდა 42%), ა.გ. საამიროები 1% (კლება 80%), თურქეთი 1% (კლება 20%), გერმანია 3% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონების - ექსპორტი 90.0 მლნ. აშშ დოლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ პოზიციის ექსპორტი არ განხორციელებულა). საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი 34%, ჩინეთი 43%, ესპანეთი 17%, ავსტრალია 6%.


ცხოველების სახლები დამზადებული ხისგან - ექსპორტი 15.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 40% და 4.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 37% (ზრდა 91%), გერმანია 24% (ზრდა 7%), ბელგია 12%(კლება 12%), აშშ 7% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ციანიდები, ოქსიდციანიდები - ექსპორტი 20.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16% და 2.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი 25% (კლება 28%), ტანზანია 30% (ზრდა 122%), აზერბაიჯანი 25% (ზრდა 22%), საუდების არაბეთი 11% (ექსპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).

საქართველოს იმპორტი


2020 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 407.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (887.2 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (708.7 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2020 წლის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020 წელს: მსუბუქი ავტომობილები 759.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის 9.5%), მეორე ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები 533.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.7%), მესამე ადგილზე ნავთობპროდუქტები 498.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.2%).

ძირითადი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი შემცირდა 4%-ით, 44.1 მლნ. აშშ დოლარით და 1207 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 18%-ით, 1 467 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა და 6 798 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე:

ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული - იმპორტი 62.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5% და 2.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბრაზილია 20% (კლება 9%), თურქეთი 24% (ზრდა 17%), გერმანია 10% (კლება 10%), უკრაინა 8% (კლება 37%), აშშ 10% (ზრდა 63%).

ხორბალი - იმპორტი 108.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 1% და 1.0 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტი სრული მოცულობით განხორციელდა რუსეთიდან.

თამბაქოს მზა ნაწარმი - იმპორტი 88.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15% და 16.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინა 82% (კლება 8%), სომხეთი 6% (ზრდა 2-ჯერ), უზბეკეთი 2% (კლება 63%), რუსეთი 1% (კლება 64%).

სპირტიანი სასმელები - იმპორტი 28.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 25% და 9.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: საფრანგეთი 24% (კლება 27%), გაერთიანებული სამეფო 19% (ზრდა 2%), რუსეთი 8% (კლება 21%), ლატვია 8% (კლება 51%).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე:

მცენარეული ზეთი - იმპორტი 46.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20% და 7.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 89% (ზრდა 21%), აზერბაიჯანი 6% (ზრდა 33%), უკრაინა 4% (კლება 2%).

სიმინდი - იმპორტი 24.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 31% და 5.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 85% (ზრდა 30%), თურქეთი 7% (ზრდა 53%), უკრაინა 3% (ზრდა 22%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი გაყინული - იმპორტი 16.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36% და 4.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 57% (ზრდა 43%), ბრაზილია 26% (ზრდა 15%), ლიეტუვა 7% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

ნაღების კარაქი - იმპორტი 26.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14% და 3.1 მლნ. აშშ ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 29% (ზრდა 1%), საფრანგეთი 21% (ზრდა 12%), ბელგია 9% (ზრდა 94%), ფინეთი 9% (კლება 5%).

მაკარონი - იმპორტი 15.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26% და 3.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 55% (ზრდა 15%), თურქეთი 15% (ზრდა 63%), იტალია 10% (ზრდა 40%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ სამრეწველო პროდუქციაზე:

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 759.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 31% და 348.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ 62% (კლება 16%), იაპონია 18% (კლება 39%), გერმანია 8% (კლება 48%), გაერთიანებული სამეფო 2% (კლება 47%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 498.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 34% და 258.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 26% (კლება 35%), რუმინეთი 19% (კლება 49%), თურქმენეთი 13% (კლება 32%), აზერბაიჯანი 14% (კლება 28%), ბულგარეთი 9% (კლება 15%).

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 327.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8% და 28 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: თურქეთი 14% (კლება 45%), გერმანია 13% (ზრდა 23%), უნგრეთი 10% (ზრდა 2%), საფრანგეთი 8% (კლება 9%), ბულგარეთი 5% (ზრდა 23%), უკრაინა 5% (კლება 5%).

ნავთობის აირები - იმპორტი 294.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 10% და 33.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი 82% (კლება 15%), რუსეთი 16% (ზრდა 13%), სომხეთი 1% (იმპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სამრეწველო პროდუქციაზე:

მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონების - იმპორტი 77.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11-ჯერ და 70.8 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: სომხეთი 62% (ზრდა 16-ჯერ), ბრაზილია 38% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა)

არმატურა - იმპორტი 50.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 6.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 60% (კლება 6%), აზერბაიჯანი 26% (კლება 24%), რუსეთი 9% (ზრდა 4-ჯერ), ირანი 3% (კლება 71%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტი 533.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 12% და 70.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 60% (ზრდა 49%), ბრაზილია 13% (ზრდა 23%), ჩილე 14% (კლება 40%), პერუ 7% (კლება 44%), ავსტრალია 2% (კლება 83%).

შაქარი - იმპორტი 51.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2% და 0.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 49% (ზრდა 4-ჯერ), რუსეთი 18% (ზრდა 24%), პოლონეთი 14% (კლება 53%).

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
საქართველო სულ	3,342,142	8,010,665	11,352,807
მათ შორის:			
ევროკავშირის ქვეყნები	697,107	1,846,724	2,543,830
ავსტრია	1,452	58,175	59,628
ბელგია	18,432	80,653	99,085
ბულგარეთი	312,377	110,373	422,750
გერმანია	61,760	405,624	467,384
დანია	937	13,771	14,708
ესპანეთი	83,752	88,863	172,614
ესტონეთი	5,565	5,264	10,829
ირლანდია	2,021	10,878	12,898
იტალია	34,649	183,021	217,670
კვიპროსი	470	5,475	5,945
ლატვია	9,486	24,626	34,112
ლიეტუვა (ლიტვა)	35,689	34,371	70,060
ლუქსემბურგი	244	3,863	4,107
მალტა	344	5,022	5,366
ნიდერლანდი	24,059	156,947	181,006
პოლონეთი	28,448	133,254	161,701
პორტუგალია	244	13,041	13,285
რუმინეთი	20,440	119,625	140,065
საბერძნეთი	5,866	41,426	47,292
საფრანგეთი	32,952	152,712	185,663
სლოვაკეთი	1,207	11,865	13,072
სლოვენია	4,138	25,767	29,905
უნგრეთი	1,406	47,229	48,635
ფინეთი	643	18,237	18,880
შვედეთი	616	16,231	16,847
ჩეხეთი	9,408	74,477	83,885
ხორვატია	505	5,933	6,438
დსთ-ს ქვეყნები	1,509,075	2,392,910	3,901,985
აზერბაიჯანი	441,289	493,188	934,477
ბელარუსი	47,300	50,137	97,437
თურქმენეთი	13,173	73,784	86,957
მოლდოვა	11,438	14,424	25,862
რუსეთი	441,076	887,513	1,328,589
სომხეთი	187,552	422,419	609,971

ტაჯიკეთი	10,887	83	10,970
უზბეკეთი	73,091	24,045	97,136
უკრაინა	217,397	390,503	607,900
ყაზახეთი	47,659	34,565	82,224
ყირგიზეთი	18,212	2,249	20,462
დანარჩენი ქვეყნები	1,135,961	3,771,031	4,906,992
ავსტრალია	6,464	13,559	20,023
ავღანეთი	139	645	784
ალბანეთი	88	185	273
ალჟირი	906	136	1,042
ანდორა	-	2	2
ა/ გაერთიანებული საამიროები	30,692	108,820	139,513
არგენტინა	-	5,454	5,454
აშშ	80,030	541,346	621,376
ახალი ზელანდია	31	2,343	2,374
ბანგლადეში	31	2,255	2,285
ბაჰრეინი	52	-	52
ბელიზი	364	409	774
ბენინი	58	-	58
ბოსნია და ჰერცეგოვინა	137	367	504
ბრაზილია	1,177	162,770	163,947
ბურკინა-ფასო	688		688
ბურუნდი	74	6	80
გაბონი	-	2,212	2,212
გაერთიანებული სამეფო	19,867	76,393	96,260
განა	612	15	627
გერნზი	3	-	3
გვატემალა	-	36	36
გიბრალტარი	-	3	3
დომინიკა	-	3	3
დომინიკელთა რესპუბლიკა	19	5,965	5,983
ეგვიპტე	119	-	119
ეკვადორი	25	16,408	16,433
ერაყი	18,145	8,979	27,124
ვიეტნამი	4,060	9,004	13,064
ვირჯინის კუნძულები	-	363	363
თურქეთი	190,570	1,407,137	1,597,707
იამაიკა	-	9	9
იაპონია	16,752	159,232	175,985
იემენი	74		74
ინდოეთი	2,759	45,709	48,468

ინდონეზია	739	9,387	10,127
იორდანია	1,184	337	1,521
ირანი	29,083	45,239	74,322
ისლანდია	-	5,518	5,518
ისრაელი	21,388	11,690	33,078
კამბოჯა	20	-	20
კამერუნი	1,926	152	2,078
კანადა	6,653	19,981	26,634
კენია	757	299	1,056
კოლუმბია	3,963	89	4,053
კორეა, რესპუბლიკა	6,259	57,999	64,258
კოსტა-რიკა	24	191	215
კუბა	916	197	1,113
ლიბანი	205	388	593
ლიბერია	108	-	108
ლიბია	342	33	375
ლიხტენშტაინი	-	222	222
მავრიკი	5	25	30
მადაგასკარი	-	1	1
მაკაუ	6	-	6
მაკედონია	195	1,058	1,253
მალავი	2	347	349
მალაიზია	437	11,318	11,755
მალდივები	14	-	14
მაროკო	3,492	1,054	4,546
მექსიკა	779	2,522	3,301
მიანმარი	117	-	117
მონაკო	-	2	2
მონღოლეთი	1,313	-	1,313
მონტენეგრო	307	-	307
ნეპალი	21	11	32
ნიგერი	21	-	21
ნიგერია	223	3	227
ნორვეგია	144	6,603	6,747
ომანი	601	470	1,071
პაკისტანი	165	3,827	3,992
პალესტინა	191	21	212
პანამა	674	5,149	5,823
პარაგვაი	-	36,870	36,870
პერუ	15,746	-	15,746
პუერტო-რიკო	29	-	29

რუანდა	58	-	58
სალვადორი	17	-	17
სამხრეთი აფრიკა	627	8,461	9,088
სან-მარინო	-	377	377
საუდების არაბეთი	19,214	1,414	20,627
საფრანგეთის პოლინეზია	-	30	30
სეიშელები	-	408	408
სენეგალი	90	-	90
სერბეთი	50	6,340	6,390
სინგაპური	19,558	13,814	33,372
სირია	570	312	882
სომალი	58	-	58
სუდანი	162	13	175
სურინამი	423	-	423
ტაივანი, ჩინეთის პროვინცია	3,623	10,883	14,506
ტაილანდი	432	16,517	16,949
ტანზანია	8,680	-	8,680
ტუნისი	3,466	85	3,551
უგანდა	5	42	47
ურუგვაი	622	3,571	4,193
ფილიპინები	192	-	192
ფარერის კუნძულები		142	142
ქუვეითი	2,086	19	2,105
ყატარი	1,079	2,661	3,739
შვეიცარია	106,813	61,880	168,693
შრი-ლანკა	7	3,005	3,013
ჩადი	12,032	284	12,316
ჩილე	3,423	77,311	80,734
ჩინეთი	476,270	708,807	1,185,077
ჰონ-კონგი	4,423	63,495	67,918